განმარტებითიბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადიინფორმაციაკანონპროექტისშესახებ:
ა.ა)კანონპროექტისმიღებისმიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლისგადაჭრასაცმიზნადისახავსკანონპროექტი:

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს კანონის მიღებამმრავალი დადებითი პროცესი გამოიწვია, თუმცა გამოჩნდა გარკვეული ხარვეზები, რომლებიც აფერხებენ კანონით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. ხარვეზების გამოსწორების მიზნით განხორციელებული უნდა იქნას წარმოდგენილი ცვლილებები, რათა ამაღლდეს კანონის ეფექტური მოქმედება და მიღწეული იქნას „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს კანონით“ გათვალისწინებული მიზნები.

ა.ა.ბ) არსებულიპრობლემისგადასაჭრელადკანონპროექტისმიღებისაუცილებლობა:

აუცილებელია კანონშივე არსებობდეს ის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს კანონის“მოქმედებისას წამოჩენილი ხარვეზების გამოსწოებას.ზოგიერთ რეგიონშიმიგრაციული პროცესების გაუმჯობესების გამო, დაფიქსირდა მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მოხსნის შემთხვევა. ფაქტობრივად სტატუსის მოხსნა გამოიწვია კანონში არსებულმა ჩანაწერმა, რომლის შეცვლაც აუცილებელია წარმოდგენილი ცვლილებებით.

ასევე დასახვეწია მაღალმთან რეგიონში მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების პროცედურები, ვინაიდან რეგისტრაციიდან სტატუსის მინიჭებამდე 9 თვიანი პერიოდი ძალიან დიდია, რაც აუცილებლად უნდა შემცირდეს.

შესაცვლელია სტუდენტებისა მიმართ მიდგომები, მათ მიმართ სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის საკითხზე. ასევე, გასაუმჯობესებელია პედაგოგების, სამედიცინო სფეროს თანამშრომელთა, შშმ პირების მშობელთა და მეურვეთა, ასევე სხვათა ანაზღაურებისა და მათზე შეღავათების დაწესების პირობები. რომელთა მიღება აუცილებელია „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს კანონით“ დასახული მიზნების მისაღწევად , რათა შეჩერდეს მაღალმთიანი რეგიონებიდან მიგრაციის პროცესი და გაუმჯობესდეს ასეთ დასახლებებში მცხოვრებ პირთა

კეთილდღეობა, ამაღლდეს მათი ცხოვრების დონე, ხელი შეეწყოს დასაქმებას, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ა.ბ) კანონპროექტისმოსალოდნელიშედეგები:

კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს კანონით“დასახული მიზნების მიღწევას, გააუმჯობესებს მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები ჩვენი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას და უკვე მიგრირებული ოჯახების უკან დაბრუნებისათვის სტიმულის მიცემას. მისცემს მათ საშუალებას მაღალმთიან რეგიაონშივე მიაღწიონს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების რეალიზაციას და არ სჭიდებოდეთ სახელმწიფოს მიერ დადგენილი სიკეთეების მიღების მიზნით ქალაქებში მიგრაცია და ადვილზევე ხდებოდეს მათი შესაძლებლობების რეალიზაცია.

ა.გ) კანონპროექტისძირითადიარსი:

1. ცვლილება შედის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი და მუხლიდან ამოდის ტექსტი „გამწვავებული მიგრაციული პოცესები“
2. იცვლება და ახლებურად ყალიბდება მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ)“ და ,,გ)“ ქვეპუნქტები, რომლითაც მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები პირისათვის სტატუსის მინიჭება შესაძლებელი ხდება მისი რეგისტრაციიდან ერთი თვის შემდეგ.
3. ცვლილება შედის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის ტექსტში, რომლითაც გამონაკლისის წესით მაღალმთიანი რეგიონის მცხოვრები პირის სტატუსი არ უჩერდება უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღების მიზნით მიგრირებულ სტუდენტებს.
4. მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნას კანონიდან, რომლითაც სტუდენტებს უჩერდებათ სწავლის გამო მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები პირის სტატუსი.
5. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტს ემატება „ი“ ქვეპუნქტი, რომლითაც შ.შ.მ პირების ერთ-ერთ მშობელს ან მეურვეს (მომვლელს) ენიშნება ფულადი დახმარება სახელმწიფო პენსიის ოთხმაგი ოდენობით.
6. ცვლილება შედის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში, რომლითაც იზრდება საპენსიო დანამატი და მაღალმთანი რეგიონის სტატუსის მქონე

პენსიონერს პენსიაზე დანამატის სახით ემატება პენსიის 20 %-ის ნაცვლად 100% დანამატი, ხოლო სოციალურ დახმარებაზე დანამატი 35 პროცენტის ნაცვლად ხდება 100 პროცენტი.

7. ცვლილება შედის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში, რომლითაც იზრდება მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისათვის, რომლის შრომა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურდება, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით ყოველთვიური დანამატის მიცემას:
   ბ.ა) ექიმისათვის – სახელმწიფო პენსიის სამმაგი ოდენობით ნაცვლად ორმაგი ოდენობისა;
   ბ.ბ) ექთნისათვის – სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით ნაცვლად სახელმწიფო პენსიის ოდენობისა;

8. ცვლილება შედის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში, რომელიც გულისმობს ამ კანონის ამოქმედების შემდეგ დაბადებული პირველი ბავშვისა და მეორე ბავშვისათვის, რომელთა ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით 2 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარების – არანაკლებ 500 ლარის – მიცემას ნაცვლად 100 ლარისა, ხოლო მესამე ბავშვისა და ყოველი შემდგომი ბავშვისათვის – 4 წლის განმავლობაში ნაცვლად 2 წლისა, ყოველთვიური ფულადი დახმარების – არანაკლებ 1000 ლარის – მიცემას ნაცვლად 200 ლარისა;
9. ცვლილება შედის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში, რომლიც გულისმობს მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლისათვის, საჯარო სკოლის მასწავლებლის საბაზო თანამდებობრივი სარგოს არანაკლებ 100 პროცენტის მიცემას ნაცვლად 50%-ისა; მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლისათვის შრომის ანაზღაურების არანაკლებ 100 პროცენტის მიცემას ნაცვლად 50%-ისა
10. ცვლილება შედის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტში, რომლიც გულისმობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ან/და მის სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული შესაბამისი პროგრამის მონაწილე

მასწავლებლისათვისშრომის ანაზღაურების არანაკლებ 100 პროცენტისდანამატის მიცემას ნაცვლად 50%-ისა.

ა.დ) კანონპროექტისკავშირისამთავრობოპროგრამასთანდაშესაბამისსფეროშიარსებულსამოქმედოგეგმასთან, ასეთისარსებობისშემთხვევაში (საქართველოსმთავრობისმიერინიცირებულიკანონპროექტისშემთხვევაში):

ეს ქვეპუნქტი არ ვრცელდება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებით.

ა.ე) კანონპროექტისძალაშიშესვლისთარიღისშერჩევისპრინციპი, ხოლოკანონისთვისუკუძალისმინიჭებისშემთხვევაში – აღნიშნულისთაობაზეშესაბამისიდასაბუთება:

რამდენადაც ამ კანონპროექტისძალაშიშესვლა გამოიწვევს საბიუჯეტო ცვლილებებს მიზანშეწონილია კანონპროექტი ამოქმედდეს მომდევნო საბიუჯეტო წლიდან ანუ 2020 წლის 1 იანვრიდან.

ა.ვ) კანონპროექტისდაჩქარებულიწესითგანხილვისმიზეზებიდაშესაბამისიდასაბუთება (თუინიციატორიითხოვსკანონპროექტისდაჩქარებულიწესითგანხილვას):

ინიციატორი არ ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას.

ბ) კანონპროექტისფინანსურიდასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტისმიღებასთანდაკავშირებითაუცილებელიხარჯებისდაფინანსებისწყარო:

კანონპროექტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტისგავლენაბიუჯეტისსაშემოსავლონაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტისგავლენაბიუჯეტისხარჯვითნაწილზე:

საქსტატის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები და დასაქმებული პირები, რომლებსაც ეხება წარმოდგენილი ცვლილებები შეადგენს;

1. პენსიონერი - 69803
2. ექიმი - 574
3. ექთანი- 989
4. პედაგოგი - 11395
5. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ან/და მის სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული შესაბამისი პროგრამის მონაწილე მასწავლებლებელი - 50 (დაუზუსტებელი მონაცემებით).
6. სპორტის მასწ. - 295
7. შშმ პირები - 30 (დაუზუსტებელი მონაცემებით)
8. ერთი ან 2 შვილიანი ოჯახების რაოდენობა - 500 (დაუზუსტებელი მონაცემებით)
   სამი ან მეტ შვილიანი ოჯახების რაოდენობა - 200 (დაუზუსტებელი მონაცემებით)

მოყვანილი სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდგინარე კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

1. ერთი პენსიონერი დღესარსებული მდგომარეობით იღებს 200 ლარიან პენსიას და 40 ლარიან დანამატს - სულ 240 ლარს, ხოლო კანონპროექტის ამოქმედების შემთხვევაში 200 ლარიან პენსიასთან ერთად მიიღებს 200 ლარიან დანამატს - სულ 400 ლარს. ე.ი. 160 ლარით მეტს.
   პენსიონერები - 69803 *160= 11 168 480 ლარი თვეში, წელიწადში 134 021 760 ლარი.
   ცვლილებების მიხედვით ხარჯი იზრდება წელიწადში 134 021 760 ლარით.

2. ერთი ექიმი დღეს არსებული მდგომარეობით იღებს ხელფასზე დანამატს სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით ანუ თვეში 400 ლარის ოდენობით, ხოლო კანონპროექტის ამოქმედების შემთხვევაში დანამატის სახით მიიღებენ სახელმწიფო პენსიის სამაგ ოდენობას ანი თვეში 600 ლარიან დანამატს. ანუ 200 ლარით მეტს თვეში
   ექიმები - 574 * პენსიის ოდენობა 200 ლარი = 114800 ლარი თვეში, წელიწადში 1 377 600 ლარი.
   ცვლილებების მიხედვით ხარჯი იზრდება წელიწადში 1 377 600 ლარით.

3. ერთი ექთანი დღეს არსებული მდომარეობით იღებს თვეში სახელმწიფო პენსიის ოდენობის დანამატს ანუ 200 ლარს. კანონპროექტის ძალაში შესვლის შემთხვევაში დანამატის სახით მიიღებენ სახელმწიფო პენსიის ორმაგ ოდენობას ანუ თვეშ 400 ლარიან დანამატს.

ექთნების - 989 * 200 პენსიის ოდენობა თვეში = 197800, წელიწადში 2 373 600 ლარი.
ცვლილებების მიხედვით ხარჯი იზრდება წელიწადში 2 373 600 ლარით.

4. პედაგოგების საშუალო ხელფასი წარმოადგენს 550 ლარს, რომელზეც დღეის მდგომარეობით დანამატის სახით იღებენ 50 %. ანუ სშუალოდ 275 ლარიანი დანამატი. კანონპროექტის ძალაში საშუალოდ 550 ლარი საშუალოდ. შესვლის შემთხვევაში დანამატი განისაზღვრება ხელფასის 100 % ანუ თვეში საშუალოდ 550 ლარიანი დანამატი.
   პედაგოგების საშუალო ხელფასი წარმოადგენს 550 ლარს, დანამატი იზდება 50%-ითარსებული 50 % შეადგენს შეადგენს 275*11395=3 133 625 ლარსთვეში, წელიწადში 37 603 500 ლარი.
   ცვლილებების მიხედვით ხარჯი იზრდება წელიწადში 37 603 500ლარით.

5. პედაგოგების საშუალო ხელფასი წარმოადგენს 550 ლარს, რომელზეც დღეის მდგომარეობით დანამატის სახით იღებენ 50 %. ანუ სშუალოდ 275 ლარიანი დანამატი. კანონპროექტის ძალაში საშუალოდ 550 ლარი საშუალოდ. შესვლის შემთხვევაში დანამატი განისაზღვრება ხელფასის 100 % ანუ თვეში საშუალოდ 550 ლარიანი დანამატი. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ან/და მის სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული შესაბამისი პროგრამის მონაწილე მასწავლებლებელი - 50 (დაუზუსტებელი მონაცემებით).

   საშუალო ხელფასი წარმოადგენს 550 ლარს, დანამატი იზდება 50% რაც ჯამში შეადგენს 275*50= 13 750 ლარსთვეში, წელიწადში 165 000.

   ცვლილებების მიხედვით ხარჯი იზრდება წელიწადში 165 000 ლარით.
   ლარს.

6. სპორტის მასწავლებლებისთვის საშუალო ხელფასი წარმოადგენს 550 ლარს, რომელზეც დღეის მდგომარეობით დანამატის სახით იღებენ 50 %. ანუ სშუალოდ 275 ლარიანი დანამატი. კანონპროექტის ძალაში საშუალოდ 550 ლარი საშუალოდ. ცვლილების შემთხვევაში დანამატი განისაზღვრება ხელფასის 100 % ანუ თვეში საშუალოდ 550 ლარიანი დანამატი.

   დანამატი 275*295 = 81125 თვეში, წელიწადში 973500 ლარი.

   ცვლილებების მიხედვით ხარჯი იზრდება წელიწადში 973500ლარით.
   ლარს.

7. შ.შ.მ პირების რაოდენობა დაუზუსტებელი ინფორმაციით მაღალმთიანი სტატუსის მქონე დასახლებებში შეადგენს 30 შესაბამისად ერთ-ერთ მშობელის ან მეურვის (მომვლელის) დახმარება - ყოველთვიურად განისაზღვრება 800 ლარის ოდენობით.
სულ თვეში 24 000 ლარი.წლის განმავლობაში ლარი.
ცვლილებების მიხედვით ხარჯი იზრდება წელიწადში 288 000 ლარით.

8. ერთი ან 2 შვილიანი ოჯახების დახმარების ოდენობა ცვლილებების მიხედვით განისაზღვება 500 ლარით, ნაცვლად 100 ლარისა. დახმარებაიზრდება თვეში 400 ლარის ოდენობით თვეში.

- 500 ოჯახი (დაუზუსტებელი მონაცემებით) X 400ლარზე = 200 000 ლარი თვეში, წელიწადში 2 400 000 3 000 000 ლარი.

ცვლილებების მიხედვით ხარჯი იზრდება წელიწადში 2 400 000 ლარით

სამი ან მეტი შვილიანი ოჯახების დახმარების ოდენობა ოდენობა ცვილებების მიხედვით განისაზღვრება 1000 ლარით, ნაცვლად 200 ლარისა. დახმარება იზრდევა 800 ლარის ოდენობით თვეში.
- 200 ოჯახი (დაუზუსტებელი მონაცემებით) X 800ლარზე = 160 000 ლარი თვეში,წელიწადში1 920 000 ლარი.
ცვლილებების მიხედვით ხარჯი იზრდება წელიწადში 1 920 000 ლარით.

სულ ჯამში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ყოველწლიურად მომდევნო 3 წლის განმავლობაში გაიზრდება დაახლოებით 181.0 მლნ.ლარით.

ბ.დ) სახელმწიფოსახალიფინანსურივალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტისმოსალოდნელიფინანსურიშედეგებიიმპირთათვის, რომელთამიმართაცვრცელდებაკანონპროექტისმოქმედება:

კანონპროექტი გავლენას მოახდენს იმ პირების ფინანსურ შედეგებზე, რომელთა მიმართაც გავრცელდება კანონპროექტის მოქმედება. კერძოდ:

1. პენსიონერები პენსიაზე დანამატის სახით მიიღებენ სახელმწიფო პენსიის ოდენობას 40 ლარის ნაცვლად 160 ლარით მეტს 200 ლარს;

2. ექიმების დანამატი გაიზრდება სახელმწიფო პენსიის ოდენობით 200 ლარით ;
3. ექთნების დანამატი გაიზრდება სახელმწიფო პენსიის ოდენობით 200 ლარით.
4. პედაგოგების და სპორტის მასწავლებლებისდანამატი გაიზრდება ხელფასის 50% ოდენობით საშუალოდ თვეში 275 ლარით.
5. დახმარება მიეცემათ შშმ პირების მშობლებს ან მეურვეს (მომვლელებს)800 ლარის ოდენობით.
6. გამარტივებული წესით მოხდება მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭება და სახელმწიფოს მიერ დაწესებული შესაბამისი შეღავათებით სარგებლობის შესაძლებლობა.
7. მაღალმთიან რეგიონში მცხოვრების სტატუსის მქონე პირი უმაღლესი განათლების მიღების სურვილის შემთხვევაშ არ დაკარგავს მინიჭებულ სტატუსს და ისარგებლებს ყველა იმ შეღავათით რაც დაწესებულია მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები პირისთვის.
8. გაიზრდება დახმარება იმ ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები ერი ან ორსულიანი ოჯახებისთვის 100 ლარის ნაცვლად 500 ლარი. სამი და მეტ ბავშვზე 200 ლარის ნაცვლად 1000 ლარით.
9. გაიზრდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ან/და მის სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული შესაბამისი პროგრამის მონაწილემასწავლებლებელის დანამატი -ხელფასის 50% ოდენობით საშუალოდ თვეში 275 ლარით.

ბ.ვ) კანონპროექტითდადგენილიგადასახადის, მოსაკრებლისანსხვასახისგადასახდელისოდენობისგანსაზღვრისწესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი და არ იცვლება არსებული გადასახადები, მოსაკრებლები და სხვა სახის გადასახდელები.

გ) კანონპროექტისმიმართებასაერთაშორისოსამართლებრივსტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტისმიმართებაევროკავშირისსამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტისმიმართებასაერთაშორისოორგანიზაციებშისაქართველოსწევრობასთანდაკავშირებულვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტისმიმართებასაქართველოსორმხრივდამრავალმხრივხელშეკრულებებთანდაშეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთიხელშეკრულების/შეთანხმებისარსებობისშემთხვევაში, რომელსაცუკავშირდებაკანონპროექტისმომზადება, – მისიშესაბამისიმუხლიან/დანაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას.

გ.დ) არსებობისშემთხვევაში, ევროკავშირისისსამართლებრივიაქტი, რომელთანდაახლოებისვალდებულებაცგამომდინარეობს „ერთიმხრივ, საქართველოსადა, მეორემხრივ, ევროკავშირსადაევროპისატომურიენერგიისგაერთიანებასდამათწევრსახელმწიფოებსშორისასოცირებისშესახებშეთანხმებიდან“ ანევროკავშირთანდადებულისაქართველოსსხვაორმხრივიდამრავალმხრივიხელშეკრულებებიდან:

კანონპროექტი არ გამომდინარეობს ევროკავშირის ასეთი სამართლებრივი აქტიდან.

დ) კანონპროექტისმომზადებისპროცესშიმიღებულიკონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფოან/დასაერთაშორისოორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაოჯგუფი, რომელმაცმონაწილეობამიიღოკანონპროექტისშემუშავებაში, ასეთისარსებობისშემთხვევაში:

ასეთი ორგანიზაცია, დაწესებულება და ექსპერტი არ არსებობს.

დ.ბ)კანონპროექტისშემუშავებაშიმონაწილეორგანიზაციის/ დაწესებულების, სამუშაოჯგუფის, ექსპერტისშეფასება კანონპროექტისმიმართ, ასეთისარსებობისშემთხვევაში:

ასეთი შეფასება არ არსებობს.

დ.გ) სხვაქვეყნებისგამოცდილებაკანონპროექტისმსგავსიკანონებისიმპლემენტაციისსფერ ოში, იმგამოცდილებისმიმოხილვა, რომელიცმაგალითადიქნაგამოყენებული კანონპროექტისმომზადებისას, ასეთიმიმოხილვისმომზადებისშემთხვევაში:

კანონპროექტს არ უდევს საფუძვლად მისი მსგავსი კანონების სხვა ქვეყნების მიერ იმპლემენტაციის გამოცდილება. კანონპროექტის მომზადებისას არ იქნა მაგალითად გამოყენებული აღნიშნული გამოცდილება.

ე) კანონპროექტისავტორი:

ემზარ კვიციანი

ვ) კანონპროექტისინიციატორი:

ემზარ კვიციანი